

**გენდერული თანასწორობის
შეფასება საქართველოს
პოლიტიკურ პარტიებში**

დოკუმენტის შესახებ

ქალთა პოლიტიკური გაძლიერების შესახებ კვლევა ორგანიზაცია „მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრმა“ – EECMD (2017 წლამდე NIMD¹) არაერთხელ ჩაატარა; კონკრეტულად, პოლიტიკური პარტიების გენდერული რანგირება პირველად 2014 წელს ჩატარდა და მისი განახლებული ვერსია მომდევნო წლებშიც წარმატებით გამოიცა. წინამდებარე კვლევა გენდერული რანგირების უახლესი ანგარიშია, რომელიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით მომზადდა.

გენდერული თანასწორობის ინდექსის შექმნა EECMD-მ ქალთა პოლიტიკაში უფრო აქტიური მონაწილეობის მხარდასაჭერად დაიწყო. ამიტომ, აღნიშნული კვლევა დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს უკეთ დაინახონ თუ რა წინაპირობები არსებობს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ქალთა მეტად ჩართულობის ხელშესაწყობად და როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებში.

პოლიტიკური პარტიების გენდერული თანასწორობის ინდექსი პარტიებს სამი ძირითადი განზომილებით აფასებს – საარჩევნო, ინსტიტუციური (შიდაპარტიული, ორგანიზაციული) და საპროგრამო. თითოეული განზომილება მოიცავს ინდიკატორების ერთობლიობას, რომელთაც მინიჭებული აქვთ კონკრეტული ქულა და მათი ერთობლიობა შემდგომში, პარტიებში გენდერული თანასწორობის ინდექსის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ანგარიში მომზადებულია 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ცესკოს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული შედეგების საფუძველზე. აღნიშნულ შედეგებს არ აღიარებენ ოპოზიციური პარტიები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები. გარდა ამისა, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები და ქვეყნის დასავლელი პარტნიორები მიუთითებენ მთელ რიგ შეუსაბამობებზე, რაც არჩევნების სამართლიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ანგარიში მომზადდა „მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის“ (EECMD) მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ (SDC) მიერ.

დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები და განცხადებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს EECMD-ს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან შვეიცარიის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი: თამარ ბაგრატია

05

შესავალი

09

1. მეთოდოლოგია

13

2. გენდერული რანგირების
შედეგები და ანალიზი

13

2.1. საარჩევნო
კომპონენტი

15

2.2. ინსტიტუციური
კომპონენტი

17

2.3. პროგრამული
კომპონენტი

19

დასკვნები და ძირითადი
მიზნები

22

გამოყენებული ლიტერატურა
და წყაროები

შესავალი

ზოგადი მიმოხილვა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ

პოლიტიკურ პარტიებში გენდერული თანასწორობა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა მჭიდრო კავშირშია საზოგადოების განვითარების, დემოკრატიის ხარისხის ამღობისა და ლეგიტიმაციის განმტკიცების პროცესებთან. ეს უზრუნველყოფს საზოგადოების მრავალფეროვანი გამოცდილებისა და საჭიროებების უკეთ წარმოჩენას, რაც გადანაცვლებების მიღების პროცესს უფრო ინკლუზიურსა და ეფექტიანს ხდის. ეგალიტარიზმი, სქესთა თანასწორობა, პოლიტიკური მონაწილეობის ლეგიტიმაცია, პოლიტიკის კონცეფციის განსხვავებული ხედვა თუ ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენება, მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ ფაქტორების, რომლებიც აუცილებელს ხდის ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას.

ამასთანავე, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება ემსახურება სოციალური სამართლიანობის განმტკიცებას, რადგან ითვალისწინებს იმ უთანასწორობის აღმოფხვრას, რომელიც ისტორიულად პოლიტიკურ სივრცეებში ქალთა წარმომადგენლობის შეზღუდვას უკავშირდება.

ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკურ პარტიებსა თუ სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებში დადებითად აისახება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხარისხზეც, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირების მძლავრი ფაქტორია. შესაბამისად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა უნდა განხილვებოდეს, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა დემოკრატიული და მდგრადი განვითარების კონტექსტში.

საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) 2021 წლის მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 193 ქვეყანას შორის საქართველო პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით 113-ე ადგილს იკავებდა, (20.7%) ხოლო 2025 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი მცირედით გაუმჯობესდა და საქართველომ 108-ე ადგილზე გადმოინაცვლა (22%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი 2025 წლის იანვრის მდგომარეობის მიხედვით 27%-ს შეადგენს, ხოლო 2021 წელს 25.5%-ს შეადგენდა². მიუხედავად გაუმჯობესებული მაჩვენებლისა, საქართველოს მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა შესაბამისი წარმომადგენლობის საყოველთაოდ აღიარებულ ე.წ. „კრიტიკულ მასას“ (35-40%), რომელიც საჭიროა პოლიტიკური გადანაცვლებების მიღების პროცესში საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებისთვის.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური განმტკიცების განუყოფელი ნაწილია როგორც ადამიანის უფლებების მონიტორინგის საერთაშორისო და რეგიონულ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობა, აგრეთვე სრული და დროული ანგარიშგება. სწორედ ამიტომ, საყოველთაო თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად საქართველომ რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგ მექანიზმებთან მიერთებაა: გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის

2 https://data.ipu.org/women-averages/?date_month=1&date_year=2021

აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) და მისი ფაკულტატიური ოქმი, პეკინის დეკლარაციის რეკომენდაციები და სამოქმედო პლატფორმა, კონვენცია „ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325 და სხვა.

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ განსაკუთრებით გამოყოფს ქალთა გადამწყვეტ როლს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმართულებით. კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას იღებენ, რათა ქალებმა შეძლონ³:

- » ისარგებლონ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებებით (ხმა მისცენ და იყვნენ არჩეული სხვადასხვა საჯარო ორგანოში);
- » მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ყველა პროცესში, ხელისუფლების ყველა დონეზე;
- » მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების და ასოციაციების საქმიანობაში.

კონვენციის მე-8 მუხლი აძლიერებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გლობალურ განზომილებას საერთაშორისო დონეზე ქალთა წარმომადგენლობის მოთხოვნით. კერძოდ, მოითხოვს ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რათა მათ შეეძლოთ წარმოადგინონ საკუთარი მთავრობა საერთაშორისო დონეზე და ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში.

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა მიღებულ იქნა 1995 წელს. დეკლარაციის მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის პრინციპების განმტკიცებას, ხოლო სამოქმედო გეგმა განიხილავს ქალთა უფლებებს, როგორც ადამიანის უფლებებს. დეკლარაციის მიზანია, აღმოფხვრას „ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქალთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში და უზრუნველყოს ქალთა სრული და თანასწორი ჩართულობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მიმართულებით და გადაწყვეტილების მიღების პროცესში“⁴.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს კონვენცია „ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1952 წლის 20 დეკემბერს მიიღო და ძალაში 1954 წლის 7 ივლისს შევიდა. კონვენციამ დეკლარირება გაუკეთა ქალთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ყველა სახის არჩევნებში, დაიკავონ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი სახის არჩევითი თანამდებობა და სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი პოსტი მამაკაცების თანასწორად, დისკრიმინაციის გარეშე. კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2005 წელს.

3 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-05/cedaw_handbook.pdf

4 https://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs_EECMD_2018.pdf

ქალები პოლიტიკურ პარტიებში

არჩევნები მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელსაც დაინტერესებული ჯგუფები განიხილავენ, როგორც ინსტრუმენტს საარჩევნო უფლებების რეალიზაციისა და ხელისუფლების ფორმირებისათვის. ასევე, საზოგადოებაში დომინირებული აზრის კონსტანტაციისა და ამომრჩეველთა პოზიციების დაახლოების შესაძლებლობას.⁵ ამ ე.წ. კონსენსუსის პროცესში ქალები და კაცები უნდა მონაწილეობდნენ, როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლებების რეალიზაციის კონტექსტში.

თუმცა გადანყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენას ახდენს როგორც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, ასევე, სხვადასხვა ქვეფაქტორთა ერთობლიობა; შესაბამისად, მსოფლიო პრაქტიკა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის არაერთ მეთოდს იცნობს, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკაზე, სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თავისებურებებზე. თანამედროვე პოლიტიკაში გავრცელებულია პოლიტიკური პარტიის, როგორც ქალთა ინტერესის რეალიზაციის ძირითადი არხის მნიშვნელობა, ვინაიდან ლიბერალური დემოკრატიის პირობებში პოლიტიკურ ურთიერთობათა უმთავრეს სუბიექტებად პარტიები გვევლინებიან.⁶

პოლიტიკური პარტიების ფუნდამენტური როლის აღიარებით, ათენის 2009 წლის მინისტრიალის საბჭოს №7/09 გადანყვეტილება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის შესახებ, კონკრეტულად მოუწოდებს პარტიებს, ხელი შეუწყონ ამ პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას გადანყვეტილების მიღების პროცესში. დოკუმენტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს გენდერული ბალანსის მიღწევის აუცილებლობას არჩეული თანამდებობების ყველა დონეზე.⁷

2024 წელს CEDAW კომიტეტმა თავის ყოვლისმომცველ სახელმძღვანელოში, რომელიც ოფიციალურად ცნობილია როგორც ზოგადი რეკომენდაცია 40 (GR40) მკაფიოდ აღნიშნა, რომ „თანაბარი და ინკლუზიური წარმომადგენლობა“ მოითხოვს არანაკლებ 50-50 თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის. ეს უდავო სტანდარტი უზრუნველყოფს ყველა ქალისა და გოგონას თანაბარ ხელმისაწვდომობას გადანყვეტილების მიღების ნებისმიერ სისტემაში. კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პრინციპები უნდა გავრცელდეს როგორც საჯარო და კერძო სექტორზე, ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ციფრულ სივრცეებზე.⁸

ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) ანგარიშის მიხედვით, რომელიც საქართველოში 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების მონიტორინგის შედეგებს ასახავს, ავტორთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ „საარჩევნო კამპანიაში ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა მიუთითებს პოლიტიკაში მათი ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ვალდებულების აღების აუცილებლობაზე“.

საქართველოს შესახებ **ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) ანგარიშში** (საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი) ხაზგასმულია, რომ „არჩევით თანამდებობებზე ქალთა სიმცირე, რასაც თან ერთვის პოზიტიური საკანონმდებლო ზომების გაუქმება, დამატებით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობაზე.

⁵ https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/06/კვლევა_თამარ-ბაგრატია_EECMD_2020.pdf

⁶ „შიდა პარტიული დემოკრატია გენდერულ პერსპექტივაში“, NIMD

⁷ გადანყვეტილება №7/09 პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ, ათენი, 2009 წ.

⁸ <https://www.ohchr.org/en/press-releases/2024/10/half-power-un-womens-rights-committee-issues-guidance-womens-equal-and>

⁹ https://www.osce.org/files/f/documents/3/a/515364_0.pdf

პოლიტიკაში მონაწილე ქალები კვლავაც უპირისპირდებიან დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, პოლიტიკურ პარტიებში არსებულ გამოწვევებსა და ძალადობის სხვადასხვა ფორმებს¹⁰.”

საქართველოში პარტიული სისტემის მუდმივი ცვალებადობის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიები პოლიტიკაში ქალთა დაწინაურების მთავარ ინსტრუმენტად და მათი მონაწილეობის სცენარის ძირითად „მოთამაშეებად“ გვევლინებიან, ამიტომ პოლიტიკურ პარტიებში გენდერული პარიტეტის დამყარება მნიშვნელოვანია, როგორც:

- ა) ქალთა დაწინაურების ინსტრუმენტი;
- ბ) შიდა პარტიული დემოკრატიის განვითარების ინდიკატორი;
- ა) საზოგადოების დემოკრატიის განვითარების მაჩვენებელი.

სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა და გენდერული კვოტირების გაუქმება

საქართველოში არსებობს ე.წ. დადგენილი სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის. შერეული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, პროპორციული სისტემით პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებში მეტი ქალი იქნა არჩეული, ვიდრე – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

საარჩევნო სისტემა მხოლოდ იმ პირობების სტრუქტურირებას იწვევს, რომელშიც პარტიები/კანდიდატები და ამომრჩევლები მოქმედებენ; მას არ შეუძლია იმ დადებითი და უარყოფითი შესაძლებლობების განსაზღვრა, რომელსაც ეს პირობები ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას, ის არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთადერთი და განცალკევებული ფაქტორი, რომელიც ქალთა წარმომადგენლობაზე ზემოქმედებს.

2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რამდენიმე მიზეზის გამო უნდა ყოფილიყო გამორჩეული: ვარაუდობდნენ, რომ სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმი ქალთა მინიმუმ, 25%-იან წარმომადგენლობას უზრუნველყოფდა.

თუმცა, 2024 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტმა დაიქარებული წესით განიხილა კანონპროექტი, რომელმაც გენდერული კვოტირება გააუქმა. ასევე, გაუქმდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანულ კანონში ჩანაწერი საბიუჯეტო დაფინანსებაზე 30%-იანი დანამატის შესახებ, რომელიც ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ზრდისა და პარტიებში ქალთა ორგანიზაციების გაძლიერებისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნულ ცვლილებებს მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობა, თუმცა მიმდინარე წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად, ეს მონაცემი 1%-ით გაუმჯობესდა და ქალებმა საპარლამენტო მანდატების 22% მოიპოვეს, რაც რამდენიმე პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო სიებში ე.წ. გამსვლელ ადგილებზე ქალთა შედარებით დიდი რაოდენობის ნომინირებამ განაპირობა.

1 მეთოდოლოგია

პოლიტიკური პარტიების გენდერული თანასწორობის ინდექსი პარტიებს სამი ძირითადი განზომილებით აფასებს: საარჩევნო, ინსტიტუციური და პროგრამული. თითოეული მათგანი მოიცავს ინდიკატორთა ერთობლიობას, რომელთაც მინიჭებული აქვთ კონკრეტული ქულა და მათი ერთობლიობა შემდგომში, პარტიებში გენდერული თანასწორობის ინდექსის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. უფრო ზუსტად კი, ჭამური ინდექსის გაანგარიშებისას საარჩევნო კომპონენტი ერთიანი მაჩვენებლის 50%-ს შეადგენს, ხოლო ინსტიტუციური და პროგრამული პარამეტრების ხვედრითი წილი 25-25%-ია.

გენდერული რანგირების კვლევის ავტორების მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად მნიშვნელოვნად დაიხვეწა კვლევის მეთოდოლოგია. კონკრეტულად, გადაიხედა საარჩევნო კომპონენტის შეფასების წესი. ვინაიდან საარჩევნო კომპონენტის დათვლისას სრულყოფილი გენდერული თანასწორობა საერთო ქულების 50%-ით იქნებოდა გადმოცემული, ჩაითვალა, რომ თავდაპირველი მონაცემი 2-ზე უნდა გამრავლებულიყო. ამგვარად, იდეალური გენდერული თანასწორობა 100%-ით გამოიხატება, რაც შინაარსობრივად უფრო ლოგიკურ სურათს იძლევა.

საარჩევნო კომპონენტს შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს (50%), რადგან მიიჩნევა, რომ დემოკრატიისთვის არჩევნები ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც გამოცდის ძალაუფლებას. შესაბამისად, საარჩევნო კომპონენტში გამოხატული გენდერული თანასწორობა უკვე გატარებული პოლიტიკისა და მიგნებების ეფექტურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, ისევე, როგორც პოლიტიკური პარტიის შიგნით ძალთა გადანაწილება, რომელიც ჯერ პარტიულ საარჩევნო სიებზე, შემდეგ კი საკანონმდებლო ორგანოების წევრთა სიებზე აისახება – ქალთა თანასწორი, ან უთანასწორო წარმომადგენლობით. თუკი ზემოთ აღწერილი კომპონენტების გათვალისწინებით ქალთა შესაბამის რაოდენობას გადავხედავთ, ვნახავთ, როგორია შიდაპარტიული მდგომარეობა გენდერული თანასწორობის კუთხით.

რანგირების უახლესი ანგარიში 2024 წლის 26 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგების¹¹ შესაბამისად მომზადდა და მასში რამდენიმე ცვლილება აისახა:

» ვინაიდან საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით ჩატარდა (გაუქმდა მაჟორიტარული სისტემის არჩევნები) პირველი კატეგორია მხოლოდ ორი ინდიკატორითაა წარმოდგენილი და თითოეულს შესაბამისად 50%-50% მიენიჭა. ამგვარად, ამოღებულ იქნა შემდეგი ორი ინდიკატორი – ერთმანდატიან მაჟორიტარული ოლქებში **წარდგენილი** ქალი კანდიდატები, ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებში **არჩეული** ქალი კანდიდატები.

» ნომინირებული ქალი კანდიდატების პროცენტული რაოდენობის დათვლა მოხდა არა პარტიების მიერ ცესკოში ნომინირებული სრული სიიდან, არამედ, პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების შესაბამის ათეულებს ერთი ათეული დაემატა. აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქალები სიის არგამსვლელ/ბოლო ადგილებზე უფრო მეტად არიან ნომინირებული.

¹¹ აღსანიშნავია, რომ ანგარიში მომზადებულია 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ცესკოს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული შედეგების საფუძველზე. აღნიშნულ შედეგებს არ აღიარებენ ადგილობრივი ოპოზიციური პარტიები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები. გარდა ამისა, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები და ქვეყნის დასავლელი პარტნიორები მიუთითებენ მასშტაბურ გაყალბებაზე, რაც არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

შესაბამისად, სრული სიიდან პროცენტული რაოდენობის გამოთვლა არ იძლევა ზუსტ სურათს.

» ინდიკატორში – „ქალები ხელმძღვანელ პოზიციებზე“ – გამოთვლილ იქნა პარტიის მმართველ ორგანოებში ქალთა პროცენტული რაოდენობა, ხოლო პარტიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის/პოლიტიკური საბჭოს მოადგილის შემთხვევაში ჯამს 3 ერთელი (პარტიის თავმჯდომარე), 2 ერთეული (1 მოადგილე) ან 4 ერთეული (2 მოადგილე) დაემატა.

საარჩევნო კომპონენტი მოიცავს 2 ინდიკატორს: 1.1 ქალთა პროცენტული რაოდენობა (50%) პარტიის სიაში ზემოთ დაზუსტებული პრინციპით. 1.2. შესაბამისი პარტიიდან 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგად პროპორციული სისტემით არჩეულ ქალთა შეფარდება საერთო რაოდენობასთან (50%).

ინსტიტუციური კომპონენტი ზომავს, რამდენად მაღალია გენდერული ცნობიერება პარტიის შიგნით, მის მმართველ ორგანოებში და როგორ აისახება ეს პარტიის შიდა რეგულაციებზე. აღნიშნული კომპონენტი შედგება ცხრილში მოცემული ინდიკატორებისგან (თითოეულს 25% აქვს მინიჭებული) (2.1; 2.2; 2.3; 2.4.)

პროგრამული კომპონენტი აფასებს პარტიის დღის წესრიგში ქალთა და გენდერული თანასწორობის საკითხების პრიორიტეტულობას. აღნიშნული კომპონენტი შედგება ორი ინდიკატორისგან, რომელთაგან თითოზე 50% მოდის (3.1; 3.2.).

ცხრილი #1. კვლევის მეთოდოლოგია კომპონენტებისა და ინდიკატორების მიხედვით

1. საარჩევნო კომპონენტი (50%)	
1.1. ქალების შეფარდება მამაკაცებთან პარტიების მიერ წარმოდგენილ პროპორციულ სიებში 2024 წლის პარლამენტის არჩევნებზე	%
1.2. შესაბამისი პარტიიდან 2024 წლის არჩევნების შედეგად პროპორციული სისტემით არჩეული ქალების შეფარდება მამაკაცებთან	%
2. ინსტიტუციური კომპონენტი (25%)	
2.1. ქალების შეფარდება მამაკაცებთან მთავარ ადმინისტრაციულ ორგანოში და ქალების შეფარდება მამაკაცებთან მმართველ საბჭოში	%
2.2. სპეციფიკურად გენდერული თანასწორობის საკითხებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი	%

2.3. ქალთა და/ან გენდერული თანასწორობის საკითხების დანაყოფის არსებობა და ფუნქციონირება	0 - არ არსებობს
	1 - არსებობს, მაგრამ არ მუშაობს
	2 - არსებობს და მუშაობს
	3 - არსებობს, მუშაობს და მნიშვნელოვანი ფუნქციებიც გააჩნია
2.4. ქალებსა და/ან გენდერული თანასწორობის საკითხებზე ფოკუსირებული აქტივობების რაოდენობა	0 - ქალთა მონაწილეობით აქტივობები არ განხორციელებულა
	1 - ქალთა საკითხებთან დაკავშირებით, სპეციფიკური ღონისძიებები არ ჩატარებულა
	2 - ასეთი აქტივობები განხორციელებულა
	3 - განხორციელებულა აქტივობები, რომელიც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმულირებას ისახავდა მიზნად
	4 - განხორციელებულია აქტივობები ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე ჩატარებულია ტრენინგები ქალებისთვის (პროცენტული მაჩვენებელი)

3. პროგრამული კომპონენტი (25%)

3.1. რამდენადაა წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის საკითხები პარტიის წესდებასა და რეგულაციებში	0 - არ არის წარმოდგენილი
	1 - წესდებაში ნახსენებია გენდერული თანასწორობა
	2 - წესდება, ან არსებული რეგულაცია მოიცავს კონკრეტულ მექანიზმებს გენდერული თანასწორობის საკითხების წინ წამოსაწევად
3.2. პარტიულ პროგრამებში CEDAW მექანიზმებისა და კონკრეტული ღონისძიებების არსებობა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად	0 - გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები საერთოდ არაა ნახსენები
	1 - გენდერული თანასწორობა ზოგადაა ნახსენები
	2 - წარმოდგენილია მინიმუმ ერთი კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებების მხარდასაჭერად
	3 - წარმოდგენილია მინიმუმ ორი კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებების მხარდასაჭერად
	4 - წარმოდგენილია მინიმუმ სამი კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებების მხარდასაჭერად

პოლიტიკური პარტიების შერჩევა

კვლევაში წარმოდგენილი არიან პარტიები, რომლებმაც 2024 წელს ჩატარებულ არჩევნებში ხმათა მინიმუმ 3% მიიღეს. შესწავლილი პარტიებიდან მხოლოდ ერთმა, პოლიტიკურმა პარტიამ „გირჩმა“ ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი და მანდატები ვერ მოიპოვა. თუმცა აღნიშნულმა პარტიამ მიიღო ყველაზე მეტი დაფინანსება ბარიერგადალახავ პოლიტიკურ პარტიებს შორის, შესაბამისად იგი გენდერული თანასწორობის მდგომარეობის კუთხითაც საინტერესოა. ამასთანავე, მიმდინარე კვლევაში მოცემული პარტიები მონაწილეობდნენ კვლევის წინა გამოცემებშიც, შესაბამისად მიღებული შედეგების გრძელვადიან პერსპექტივაში გაანალიზების შესაძლებლობის მიზნით, გადანყდა აღნიშნული შერჩევა.

ცხრილი #2. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა¹²

საარჩევნო სუბიექტი	მიღებული ხმების რაოდენობა (%)
4. კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა	11
5. ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა	10
9. ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!	8.8
25. გახარია საქართველოსთვის	7.7
36. გირჩი	3
41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	53.9

¹² www.cec.gov.ge (ანგარიში მომზადებულია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ცესკოს ოფიციალური შედეგების მიხედვით და პარლამენტის შემადგენლობაში შემდგომი ცვლილებები ასახული არ არის)

2 გენდერული რანგირების შედეგები და ანალიზი

2.1. საარჩევნო კომპონენტი


როგორც კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში განვიხილეთ, საარჩევნო კომპონენტი დაყოფილია 2 ნაწილად – თითოეულზე მოდის 50%. პარტიებს შორის საარჩევნო კომპონენტის ნედლი მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა. (იხ.ცხ.#3)

ცხრილი #3. საარჩევნო კომპონენტი (ნედლი მონაცემები)

	პარტია	ქალთა რაოდენობა	ათეულების რაოდენობა	%
1.1. პროპორციული სიები: წარდგენილი კანდიდატები	4	7	(30)	23.3
	5	7	(30)	23.3
	9	10	(30)	33.3
	25	9	(30)	30
	36	2	(10)	20
	41	14	(100)	14
მოპოვებული მანდატები				
1.2. პროპორციული სიები: მოპოვებულ მანდატებში ქალი დეპუტატების რაოდენობა	4	7	(19)	36.8
	5	5	(16)	31.3
	9	6	(14)	42.9
	25	3	(12)	25
	36	0	0	0
	41	12	(89)	13.5

თითოეული პარტიისთვის საარჩევნო კომპონენტის შეფასება მეთოდოლოგიაში აღწერილი ფორმულით წარმოდგენილია დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა #1. პარტიები საარჩევნო კომპონენტის მიხედვით საარჩევნო კომპონენტი



1.1. ინდიკატორის მიხედვით – პროპორციული სიები: წარდგენილი ქალი კანდიდატების რაოდენობით ლიდერობს საარჩევნო სუბიექტი #9, შემდეგ – სუბიექტი #25, ხოლო სუბიექტებს #4-სა და #5-ს თანაბარი წარმომადგენლობა ჰყავდათ. ყველაზე დაბალი ქულა მიიღო საარჩევნო სუბიექტმა #41-მა, რომელსაც 100 კანდიდატიდან მხოლოდ 14 ქალი ჰყავდა ნომინირებული.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის კვლევაშიც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მმართველ პარტიას ჰქონდა. ექსპერტების აზრით, ამას განაპირობებდა დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც „მცირდება არაპრივილეგირებული ჯგუფის შეფარდება, კანდიდატების საერთო რაოდენობის ფონზე, ვინაიდან გამარჯვების ალბათობა იზრდება. ამის მიზეზი შიდა პარტიული კონკურენციაა, რომელშიც არაპრივილეგირებული ჯგუფების წარმომადგენლები იშვიათად იმარჯვებენ“.


1.2. ინდიკატორის მიხედვით – პროპორციული სიები: მოპოვებულ მანდატებში ქალი დეპუტატების რაოდენობით კვლავ ლიდერობს აქ საარჩევნო სუბიექტი #9; მას მოსდევს საარჩევნო სუბიექტი #4, სუბიექტს #41-ს 13,5% აქვს, ხოლო სუბიექტმა #36-მა ბარიერი ვერ გადალახა და მანდატი ვერ მოიპოვა.

საარჩევნო კომპონენტის ორი მონაცემით ლიდერობს კოალიცია „ძლიერი საქართველო“ (საერთო ჯამში 14 მანდატიდან ქალებმა 7 მოიპოვეს, რაც 42.9%-ს უტოლდება და ყველაზე მეტად უახლოვდება პარიტეტს).

2.2. ინსტიტუციური კომპონენტი

აღნიშნული კომპონენტის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია ეფუძნება EECMD-ის მიერ 2024 წელს ჩატარებულ პარტიების გენდერული აუდიტის ანგარიშებს, ასევე პარტიების ვებ-გვერდებსა და სოციალურ ქსელებში მათ ოფიციალურ გვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას. ინსტიტუციური კომპონენტის ანალიზის შედეგები დიაგრამა #2-ზეა მოცემული.

დიაგრამა #2. საარჩევნო სუბიექტები ინსტიტუციური კომპონენტის კატეგორიების მიხედვით



სამწუხაროდ, პარტიის ქალთა ორგანიზაციებისათვის პარტიის ბიუჯეტიდან ფინანსების გამოყოფა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. ქალთა ორგანიზაციებს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი არა აქვთ და ფინანსების ხარჯვა მიმდინარე აქტივობების მიხედვით ხდება. აღნიშნულს ადასტურებს მიმდინარე წელს ჩატარებული გენდერული აუდიტის¹³ შედეგებიც.

ცხრილი #4. ქალები ხელმძღვანელ პოზიციებზე

	ქალები პარტიის მმართველ ორგანოში	მმართველ ორგანოში წევრთა საერთო რაოდენობა	%	თავმჯდომარე	პარტიის თავმჯდომარის ან პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	%
4	16	(64)	25	0	4 (2)	31.3
5	13	(107)	12.1	3 (1)	0	15
9	7	(17)	41.2	0	2 (1)	52.9
25	5	(16)	31.3	0	2 (1)	43.8
36	0	(11)	0	0	0	0
41	3	(15)	20	0	0	20


¹³ გენდერული აუდიტები EECMD-ს მიერ 2024 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, თუმცა აღნიშნული ანგარიშები კონფიდენციალურია და ძირითადი მიგნებები მხოლოდ განზოგადებული სახითაა წარმოდგენილი.

ცხრილი #5. ინსტიტუციური კომპონენტი (ნაღლი მონაცემი)

	4	5	9	25	36	41
ქალები ხელმძღვანელ პოზიციებზე	31.3	15	52.9	43.8	0	20
ბიუჯეტი	0	0	0	0	0	0
სტრუქტურული ერთეული	33.	33.3	66.2	100	0	66.2
აქტივობები გენდერულ საკითხებზე	50	50	50	100	0	100

საერთო ჯამში, ინსტიტუციურ ნაწილში ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო საარჩევნო სუბიექტმა #25, მეორე ადგილს იკავებს საარჩევნო სუბიექტი #9. მას მოსდევს სუბიექტი #41 „ და #4,¹⁴“

დიაგრამა #3. საარჩევნო სუბიექტები ინსტიტუციური ინსტიტუციური კომპონენტი



- 41. ქართული ოცნება
- 9. ძლიერი საქართველო - ლელო
- 36. გირჩი
- 5. ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა
- 25. გახარია საქართველოსთვის
- 4. კოალიცია ცვლილებებისთვის

¹⁴ პარტია „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ ამ სახელწოდებით ახლად შექმნილი პარტიაა და პარტიული სტრუქტურების ფორმირების პროცესშია. შესაბამისად, პარტიის ქალთა ორგანიზაცია საქმიანობის რამდენიმე თვეს ითვლის.

2.3. პროგრამული კომპონენტი

პროგრამულ კომპონენტში გაერთიანებულია 2 კატეგორია: გაანალიზდა როგორც საარჩევნო სუბიექტების წესდებები, ასევე საარჩევნო პროგრამები¹⁵.

ცხრილი #6. პროგრამული კომპონენტი (ნაწილი მონაცემი)

	4.	5.	9.	25.	36.	41.
გენდერული თანასწორობა პარტიის რეგულაციებში	1	1	1	1	0	1
გენდერული თანასწორობა პარტიის პროგრამებში	2	2	3	4	0	0

კომპონენტით „გენდერული თანასწორობის საკითხები პარტიის წესდებაში“ – თანაბარი ქულები მიიღო ანგარიშში განხილულმა ყველა საარჩევნო სუბიექტმა (პარტია „გირჩის“ გარდა); რაც შეეხება გენდერული საკითხების ასახვას პარტიულ პროგრამებში, ყველაზე მაღალი შეფასება ჰქონდა საარჩევნო სუბიექტს #25, შემდეგ საარჩევნო სუბიექტს #9.

პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ქალებისთვის გამიზნულ გზავნილთა სიმცირე და წინასაარჩევნო პროგრამებში ქალ კანდიდატთა ნაკლები მონაწილეობა. მხოლოდ კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ქალმა კანდიდატებმა გააუღერეს საჯაროდ გენდერული თანასწორობის, გენდერული კვოტირებისა და გენდერული სახელფასო სხვაობის საკითხები. პარტია „ქართულმა ოცნებამ“ წინ ტრადიციული ოჯახური ღირებულებები წამოწია და პარტიის ქალთა ფრთის ორგანიზებით პარტიის წამყვანი ქალი კანდიდატებისთვის რამდენიმე ღონისძიება ჩაატარა.¹⁶ აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში „ქართული ოცნება“ გამოირჩეოდა დისკრიმინაციული დისკურსით¹⁷ – გარდა საანგარიშო პერიოდში დაინიცირებული არაერთი ჰომოფობიური კანონპროექტისა, აღნიშნული პარტიის საარჩევნო კამპანიას ანტი-გენდერული რიტორიკა გასდევდა ფონად –

15 4 - <https://ahaliparty.com/static/pdf/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.pdf>
 5 - <https://www.interpressnews.ge/ka/article/811039-ertianoba-nacionalurma-mozraobam-5-saarchevno-prioriteti-caradgina/>
 9 - https://dzlieri9.ge/wp-content/uploads/2024/10/ilias-gza_sabetchdi.-tirazh-500-compressed.pdf
 25 - <https://forgeo.ge/ka>
 36 - <https://girchi.com/articles/girchis-programa>
 41- https://www.youtube.com/watch?v=_kjpJ4rdPwk


16 <https://www.osce.org/files/f/documents/8/0/579382.pdf>

17 2024 წლის სექტემბერში მმართველმა პარტიამ დააინიცირა ჰომოფობიური კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ლგბტ ადამიანების უფლებების შეზღუდვას ითვალისწინებს, ორგანიზაციების შეფასებით, კანონების პაკეტის მიზანი წინასაარჩევნოდ საზოგადოების მანიპულაცია, რეალური პრობლემების გადაფარვა, ირაციონალური შიშის გაღვივება და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი ბარიერის შექმნაა. (<https://www.radiotavisupleba.ge/a/33123114.html>) „ქართულმა ოცნებამ“ ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებები 4 აპრილს დააინიცირა. კონსტიტუციური კანონის პროექტით, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი: „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია,

გამოიკვეთა ჰომოფობიური, მიზოგინიური და ანტი-გენდერული ენის გამოყენების ფაქტები მოახლოებულ არჩევნებზე კონსერვატიული ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ქალთა ფრთა შედარებით გააქტიურდა და არაერთი შეხვედრაც გამართა კამპანიის მსვლელობისას, საარჩევნო პროგრამაში, რომლის პრეზენტაციაც 2024 წლის 7 ოქტომბერს შედგა, გენდერული თემატიკა/ქალთა საკითხები არ იქნა გაუღებელი.

დიაგრამა #4.საარჩევნო სუბიექტები პროგრამული კომპონენტის მიხედვით
 პროგრამული კომპონენტი




დასკვნები და ძირითადი მიგნებები

- » 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, საერთო ჯამში, ქალებმა მანდატების 22% მოიპოვეს, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაცემებს 1%-ით აღემატება.
- » ქალთა რაოდენობის ზრდას 2 ფაქტორი განაპირობებს: მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმება და იმ ოპოზიციური პარტიების მიერ, რომელთაც მანდატები მოიპოვეს, ქალთა მაღალი (25%-დან 42.9%-მდე) წარმომადგენლობის უზრუნველყოფა პარტიული სიების საწყის ათეულ პოზიციებზე.
- » საკანონმდებლო დონეზე გაუქმებულმა გენდერულმა კვოტირებამ საბოლოოდ ნეგატიური გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე; ცვლილებები პოლიტიკური პარტია „გირჩის“ მიერ დაინიცირდა და მას მხარი პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დაუჭირა. ამ ნაბიჯით ორივე პარტიამ საკანონმდებლო დონეზე ქალთა წარმომადგენლობის ხელშემწყობ მექანიზმებზე (მათ შორის, ფინანსურ წახალისებაზე) უარი განაცხადა. აღსანიშნავია, რომ გენდერული კვოტირების გაუქმების შედეგები ყველაზე მეტად ამ საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ სიებზე აისახა – 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის წარდგენილ ერთიან პარტიულ სიაში, ქალი კანდიდატების პროცენტულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 16%-ს მიაღწია.
- » საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ კვოტირების სისტემის გაუქმებით ბარიერგადალახული პარტიებიდან მხოლოდ პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ისარგებლა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 17,7%-დან – 13.5%-მდე შეამცირა (2020 წელთან შედარებით), მათი სიის ასეულში კი ქალები მხოლოდ 14%-ს შეადგენდნენ;
- » შეიძლება ითქვას, რომ გენდერული კვოტირების გაუქმების მიუხედავად, ოპოზიციური პარტიების ხარჯზე ქალებმა შეძლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობის მოპოვება.
- » როგორც მიღებული შედეგები აჩვენებს, საერთო ინდექსით პოლიტიკური პარტიების გენდერულ რანგირებაში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს პარტიას „გახარია საქართველოსთვის“ (63.6), მას უმნიშვნელოდ ჩამორჩება „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ (62.4).

ცხრილი #6. საარჩევნო სუბიექტები გენდერული ინდექსის მიხედვით

	ინდექსი	საარჩევნო სუბიექტი
1	63.6%	25. გახარია საქართველოსთვის
2	62.4%	9. ძლიერი საქართველო-ლელო
3	46.2%	4. კოალიცია ცვლილებებისთვის
4	43.1%	5. ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა
5	33.1%	41. ქართული ოცნება
6	6.7%	36. გირჩი

დიაგრამა #5. საარჩევნო სუბიექტები გენდერული ინდექსის მიხედვით საერთო გენდერული ინდექსი



- 41. ქართული ოცნება
- 36. გირჩი
- 25. გახარია საქართველოსთვის
- 9. ძლიერი საქართველო - ლელო
- 5. ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა
- 4. კოალიცია ცვლილებებისთვის

- » საარჩევნო კომპონენტის მიხედვით (ინდიკატორები 1.1;1.2) მოწინავე პოზიცია უჭირავს კოალიციას „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;
- » ინსტიტუციური კომპონენტის მიხედვით (ინდიკატორები 2.1;2.2;2.3;2.4.) ლიდერობს პარტია „გახარია საქართველოსთვის“;
- » პროგრამული კომპონენტის მიხედვითაც ლიდერი პოზიცია უკავია პარტიას „გახარია საქართველოსთვის“.
- » კოალიციამ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ 2020 წელთან შედარებით, პარლამენტში ქალთა პროცენტული წარმომადგენლობა 25%-დან 42.9-მდე% მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.
- » უნდა აღინიშნოს შედარებით ახალ პარტიებში „კოალიცია ცვლილებებისათვის“ და „გახარია საქართველოსთვის“ ქალთა მაღალი წარმომადგენლობა: არჩეულ დეპუტატებს შორის ქალები 37% და 25%-ს შეადგენენ.
- » რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტს „ერთიანობა – ნაციონალურ მოძრაობა“ – თუ 2020 წლის არჩევნებში 36 მანდატიდან ქალებს 25% ჰქონდათ მოპოვებული, ამჯერად ეს მაჩვენებელი 31%-მდე გაზარდა.
- » აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი პარტიის მხრიდან საარჩევნო პროგრამებში გენდერული თემატიკის აქტუალიზება შეინიშნება; ასევე განხორციელდა გარკვეული აქტივობები ამომრჩეველი ქალებისთვის;

- » გამოიკვეთა, რომ პარტიები აყალიბებენ ქალებზე ორიენტირებულ სტრუქტურებს, თუმცა მათ ინსტიტუციური გაძლიერება და პარტიების მმართველ ორგანოებსა თუ საარჩევნო სიებში გარანტირებული წარმომადგენლობების მხარდაჭერა სჭირდებათ.
- » ფინანსურ რესურსებზე წვდომა ისევ რჩება ქალთა ორგანიზაციების გამოწვევად.
- » რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიას „გირჩი“ (სწორედ მათი ინიციატივა იყო პარლამენტში გენდერული კვოტირების, კონკრეტულად, საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის გაუქმება), მან ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი და დღეს-დღეობით აღარ ჰყავს წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში. პარლამენტის წინა მოწვევაში პარტიას არც ერთი ქალი დეპუტატი არ ჰყოლია. კვოტის შესაბამისად, პარლამენტში გასულმა ერთმა ქალმა უარი განაცხადა მანდატზე, პარტიამ სია ჩაახსნა და პარლამენტის წევრი სიაში დარჩენილი მომდევნო კაცი გახდა, ნაცვლად მომდევნო ქალისა.

„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ცხადია, რომ პოლიტიკური სფერო დიდწილადაა დამოკიდებული კლიენტელისტიკურ და ქარიზმატულ ბმებზე, რომელიც ელექტორატსა და პოლიტიკურ ელიტას შორის არსებობს. შესაბამისად, მეორე ადგილზე ინაცვლებს როგორც საარჩევნო პროგრამები, ისევე, არჩევნების პერიოდში პარტიის მიერ კანდიდატად შერჩეულთა ვინაობა. ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა სწორედ ასეთი მიდგომების შედეგია. რადგან პარტიის წარმატება კანდიდატების კლიენტელისტიკურ პოტენციალზეა დამოკიდებული,¹⁸ ქალები, როგორც წესი, ნაკლებ კონკურენტუნარიანებად აღიქმებიან. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიმიტირებული ფინანსური შესაძლებლობები და მათი შეზღუდული ბაზისი გამჭვირვალობასა და შიდაპარტიულ დემოკრატიასაც უშლის ხელს.

2018 წელს ჩატარებული კვლევა ასკვნიდა, რომ „ძირითადი ტენდენციები და ზოგადი ვითარება არ შეცვლილა. ოთხი პარტია, რომელიც ორივე ანგარიშში ფიგურირებს, გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, ძველ ადგილას რჩება¹⁹.“ ამ კვლევის მიხედვის შეინიშნება, როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური ცვლილებები.

მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით ოპოზიციურ პარტიათა განაცხადი შესაძლოა მიუთითებდეს, რომ შიდა პარტიული დემოკრატიის დონის ზრდისთვის ნაბიჯები ნელ-ნელა იდგმება, რაც შედარებით მეტად კონკურენტუნარიან გარემოს ქმნის. ასევე ეტაპობრივად შეიმჩნევა, რომ პარტიები აცნობიერებენ ქალი ამომრჩევლების პოტენციალს და საინტერესო ხდება მათი მოზიდვა, რადგან საქართველოში ქალთა რაოდენობა აჭარბებს კაც ამომრჩეველთა რაოდენობას (53.9%).

კვლევაში გაანალიზებული გენდერული ინდექსი ცალსახად მიუთითებს, რომ მმართველ პარტიასთან შედარებით, მცირე და ახალი პარტიები უფრო მეტად არიან გენდერულად დაბალანსებული და ქალ ამომრჩევლებზე ორიენტირებული, რაც სამომავლოდ დადებით ცვლილებებს მოიტანს. რეკომენდებულია, პოლიტიკურმა პარტიებმა ისეთი ცვლილებები დანერგონ, რომელიც არა მარტო გენდერულ ბიუჯეტირებას უზრუნველყოფს და ფინანსურ მდგრადობას გაზრდის, არამედ ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ასპარეზზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდას სპეციალური ზომების შემოღების და დანერგვის გზით.

18 https://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs_EECMD_2018.pdf

19 https://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs_EECMD_2018.pdf

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. EECMD, „ქალი ამომრჩევლის ელექტორალური ქცევის ირაციონალური და რაციონალური ასპექტები“, 2020, ხელმისაწვდომია: https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/06/კვლევა_თამარ-ბაგრატია_EECMD_2020.pdf
2. NIMD, „შიდა პარტიული დემოკრატია გენდერულ პერსპექტივაში“, 2012
3. ეუთო, „გადაწყვეტილება №7/09 პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ“, ათენი, 2009
4. პარლამენტთაშორისო კავშირი, სტატისტიკა, 2021, ხელმისაწვდომია: https://data.ipu.org/women-averages/?date_month=1&date_year=2021
5. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „სახელმძღვანელო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესახებ“, 2024, ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-05/cedaw_handbook.pdf
6. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, „პრეს რელიზი ქალთა უფლებების შესახებ“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/en/press-releases/2024/10/half-power-un-womens-rights-committee-issues-guidance-womens-equal>
7. რადიო თავისუფლება, „პარლამენტმა ღებტ უფლებების შემზღუდავი კანონპროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33123114.html>
8. ეუთო, „დასკვნითი ანგარიში საქართველოს შესახებ - არჩევნები 2021“, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/3/a/515364_0.pdf
9. ეუთო, „საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია საქართველო - საპარლამენტო არჩევნები 2024“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/8/0/579382.pdf>
10. EECMD, „გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოს პროლიტიკურ პარტიებში“, 2018, ხელმისაწვდომია: https://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs_EECMD_2018.pdf
11. კოალიცია „ცვილებებისთვის“, საარჩევნო პროგრამა, 2024, ხელმისაწვდომია: <https://ahaliparty.com/static/pdf/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.pdf>
12. ინტერპრესნიუსი, „ერთიანობა-ნაციონალურმა მოძრაობამ“ 5 საარჩევნო პრიორიტეტი წარადგინა“, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/811039-ertianoba-nacionalurma-mozraobam-5-saarchevno-prioriteti-caradgina/>
13. კოალიცია „ძლიერი საქართველო“, საარჩევნო გეგმა, 2024, ხელმისაწვდომია: <https://dzlieri9.ge/wp-content/uploads/2024/10/ilias-gza-sabetchdi.-tirazh-500-compressed.pdf>
14. პოლიტიკური პარტია „გახარია საქართველოსთვის“, ვებგვერდი: <https://forgeo.ge/ka>
15. პოლიტიკური პარტია „გირჩი“, საარჩევნო პროგრამა, 2024, ხელმისაწვდომია: <https://girchi.com/articles/girchis-programa>
16. ვებგვერდი: <https://www.youtube.com/watch?v=kjpJ4rdPwk>

ASSESSMENT OF GENDER EQUALITY AMONG POLITICAL PARTIES OF GEORGIA

RESEARCH
REPORT **2024**

ABOUT THE DOCUMENT

The research on the political empowerment of women was conducted multiple times by Eastern European Center for Multiparty Democracy - EECMD (formerly known as NIMD¹ before 2017). Specifically, the gender ranking of political parties was first carried out in 2014, and its updated version has been successfully published in subsequent years. The present study represents the latest report on gender ranking, prepared based on the results of the 2024 parliamentary elections.

The creation of the Gender Equality Index was initiated by EECMD to support greater female participation in politics. Therefore, this research will allow interested parties to better understand the prerequisites for increasing women's involvement in Georgia's political arena and to assess the situation regarding this issue within individual political parties.

The Gender Equality Index for political parties evaluates them across three main dimensions: electoral, institutional (internal party, organizational), and programmatic. Each dimension includes a set of indicators that are assigned specific scores, which, when combined, enable the creation of a gender equality index for the parties.

